# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 90

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი №122-ში მდებარე 84.69 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი №122-ში მდებარე 84.69 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №22.72.72 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების·* ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი №122, სართული 1, ბინა №1-ში მდებარე 84.69 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამირან ცაბაძისთვის (პ/ნ. 01008016163) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**